

ევროპული ენერგეტიკული ბაზრის მოდელის დანერგვა
საქართველოში და ახალი შესაძლებლობები ბაზრის
მონაწილეებისთვის

მაგისტრი: მიხეილ ოდიშარია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მინერალური რესურსებისა და ენერგეტიკის მართვის და მდგრადი განვითარების
ფაკულტეტზე ენერგეტიკის მენეჯმენტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი მუხიგულიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021 წელი
განაცხადი

„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

მაგისტრი: მიხეილ ოდიშარია

.03.2023

აბსტრაქტი

საქართველოს ენერგეტიკული სექტორი ბოლო ათწლეულის განმავლობაში დიდ პროგრესს განიცდის, აღნიშნული დასტურდება როგორც საკანონმდებლო ჩარჩოს დახვეწით ასევე ტექნოლოგიური წინსვლით და ენერგეტიკული სამდივნოს მითითებების ზედმიწევნით შესრულებით. საქართველომ ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში საკუთარ თავზე აიღო პასუხისმგებლობა რომ მოახდენდა ყველა სექტორში საკანონმდებლო ჩარჩოს ჰარმონიზირებას ევროპულთან. ენერგეტიკის სექტორიც სწორედ აღნიშნული სექტორების სიაში არის და საჭირო ხდება მესამე ენერგეტიკული პაკეტის გადმოღება საქართველოს ენერგეტიკაში, რაც გულისხმობს ენერგეტიკული ბაზრების ლიბერალიზაციას, სისტემის ცენტრალიზირებული მართვიდან, დეცენტრალიზირებულ მართვაზე გადასვლას. აღნიშნული რეფორმა რომელსაც საქართველოს ენერგეტიკა უკვე რამოდენიმე წელია ცდილობს რომ წარმატებით განახორციელოს არის დაკავშირებული ვაჭრობის და სისტემის ოპერირების სქემის ძირეულ ცვლილებასთან, ეს კი თავისთავად წარმოადგენს უდიდეს გამოწვევას სექტორში მონაწილე თითოეული სუბიექტისთვის.

რეფორმის შედეგად მოხდა ქსელის ოპერატორის და ელ.ენერჯის მიმწოდებლის ერთმანეთისგან გამიჯვნა, რათა ელ.ენერგეტიკულ ბაზარზე შემქნილიყო კონკურენცია და მომხმარებლისთვის არჩევანის თავისუფლება.

შემდეგ ეტაპზე იმისათვის რომ სექტორში ფუნქციონირება დაეწყო თავისუფალ და გამჭვირვალე ბაზრის მოდელს, შეიქმნა საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა და საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზრის ოპერატორი, შემუშვდა საკანონმდებლო ჩარჩო ახალი ელ.ენერგეტიკული ბაზრის ფუნქციონირებისთვის, ე.წ ბაზრის წესები, რომელიც რეგულირებას გაუწევდა ოთხივე ბაზრის სეგმენტს: დღით ადრე, დღიურ, ორმხრივი ხელშეკრულებების და საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზარს. წესების და მოდელის შემუშავების დროს იქნა გადმოღებული საუკეთესო ევროპული პრაქტიკები,

წესები კი ყველამხრივ თანხმობაში მოდიოდა ევროკომისიის მიერ 2007 წელს დამტკიცებულ კანონთან EBGL-ის მოთხოვნებთან.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს დაადგინოს თუ რა შედეგები შეიძლება გამოიწვიოს ბაზრის მონაწილეებისთვის ცენტრალიზირებული ბაზრიდან, დეცენტრალიზებულზე გადასვლამ, ახალი კომპონენტის როგორცაა უბალანსობის ანგარიშსწორება, რა შედეგი ექნება ბაზრის მონაწილეებზე ფინანსურად. ენერგეტიკული ბაზრის სიმულაციური ვაჭრობის შედეგების მიხედვით შეფასდება ყველა მოწყვლადი ბაზრის მონაწილის ფინანსური ხარჯები რის შედეგადაც დავინახავთ რამდენად მტკივნეული იქნება ბაზრის გაშვება, აღნიშნული ბაზრის მონაწილეებისთვის.

ძირითადი საძიებო სიტყვები: დღით ადრე ბაზრი, დღიური ბაზარი, ორმხრივი ხელშეკრულებების ბაზარი, საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზარი, ვაჭრობა.

Abstract

The energy sector of Georgia has been experiencing great progress over the last decade, this is confirmed by the improvement of the legislative framework, as well as technological progress and the meticulous implementation of the Energy Community's acquis. Within the framework of the Association Agreement, Georgia took responsibility to harmonize the legislative framework in all sectors with the European one. The energy sector is also in the list of the mentioned sectors, and it is necessary to transfer the 3rd energy package to the energy sector of Georgia, which implies the liberalization of energy markets, and the transition from centralized management of the system to decentralized management.

The mentioned reform, which the energy industry of Georgia has been trying to successfully implement for several years, is related to the fundamental change of the trading and system operation scheme. This represents the biggest challenge for each market participant.

As a result of the reform, the grid operator and electricity supplier were separated from each other in order to make competition in the electricity market more flexible and the consumer's freedom of choice.

At the next stage, in order to start operating liberalized and transparent market model in the sector, The Georgian energy exchange and Balancing and ancillary services market were created, the legislative framework for the operation of the new energy market, the so-called market rules, was developed, which would regulate all four market segments: Day ahead, intra day, forward and balancing market. During the development of the rules and the model, the best European practices were adopted, and the rules were in full agreement with the EBGL requirements of the law approved by the European Commission in 2007.

The paper's main goal is to determine the consequences for the market participants of the transition from a centralized to a decentralized market, the new component such as imbalance settlement, and what the financial consequences will be for the market participants. Based on the results of the simulation trading of the energy market, the financial costs of all vulnerable market participants will be assessed, as a result of which we will see how painful the market launch will be for the mentioned market participants.

Key Words: Day ahead market, Intra day market, Forward market, Balancing and ancillary services market, trading.